უფლის ფერისცვალების დღესასწაულზე უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ ლიტურგია აღასრულა ქრისტე მაცხოვრის საკათედრო ტაძარში

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 19.08.2023. 19 აგვისტოს, უფალი ღმერთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტეს ფერისცვალების დღესასწაულზე, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ საღმრთო ლიტურგია **აღასრულა** მოსკოვში ქრისტეს მაცხოვრის საკათედრო ტაძარში.

ქრისტე მაცხოვრის საკათედრო ტაძარში მისვლისთანავე, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარმა თაყვანი სცა მოსკოვის მიტროპოლიტ წმინდა მღვდელთმთავარ ფილარეტის პატიოსან ნეშტს.

ლიტურგიაზე მის უწმინდესობას თანამსახურებდნენ: ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ანტონი, მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარე; ხანტი-მანსიისა და სურგუთის მიტროპოლიტი პავლე; ოდინცოვოსა და კრასნოგორსკის მთავარეპისკოპოსი თომა, მოსკოვის საპატრიარქოს ადმინისტრაციული სამდივნოს უფროსი; ზარაისკის ეპისკოპოსი კონსტანტინე; ქრისტე მაცხოვრის საკათედრო ტაძრის მეკლიტური, დეკანოზი მიხეილ რიაზანცევი; არქიმანდრიტი ალექსი (ტურიკოვი), უწმინდესი პატრიარქის კირილეს პირადი მდივანი; მღვდელი ალექსანდრე პარამონოვი, რუსეთის საზღვარგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სიდნეისა და ავსტრალია-ახალი ზელანდიის ეპარქიის მღვდელმსახური; ქრისტე მაცხოვრის საკათედრო ტაძრის სასულიერო პირები; დედაქალაქის სამღვდელოება.

ტაძარში წირვას ესწრებოდნენ: ПАО «Сургутнефтегаз»-ის გენერალური დირექტორი ვ.ლ. ბოგდანოვი, ОАО «РЖД»-ს გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე ვ.ვ. მიხაილოვი, ОАО «РЖД»-ს კორპორატიული კომუნიკაციების დეპარტამენტის უფროსის პირველი მოადგილე ა.ვ. გუცი, რუსეთის მსოფლიო სახალხო კრების სამდივნოს უფროსი ს.იუ. რუდოვი.

საღვთისმსახურო საგალობლები შეასრულა ქრისტე მაცხოვრის საკათედრო ტაძრის საპატრიარქო გუნდმა (რეგენტი – ი. ბ. ტოლკაჩევი). ტელეარხებზე – «Союз» და «Спас», ასევე რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ოფიციალურ ვებგვერდზე Patriarchia.ru განხორციელდა საპატრიარქო საღმრთო ლიტურგიის პირდაპირი ტრანსლაცია.

მრჩობლ კვრექსზე აღვლენილ იქნა საგანგებო ვედრებანი წმინდა რუსეთისთვის.

ზიარების წინ ქადაგება წარმოთქვა მღვდელმა მაქსიმე რომანოვმა, ქ. მოსკოვში პრესნიაზე მდებარე იოანე ნათლისმცემლის შობის ტაძრის კლირიკოსმა.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისათვის გაწეული დახმარების გათვალისწინებით, უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ ПАО «Сургутнефтегаз»-ის გენერალური დირექტორი ვ.ლ. ბოგდანოვი ღირსი ანდრია ხატმწერის I ხარისხის ორდენით დააჯილდოვა.

დასასრულს, უწმინდესი მეუფე ქრისტე მაცხოვრის საკათედრო ტაძრის აღმოსავლეთ სტილობატზე გამოვიდა, სადაც ნაყოფების კურთხევა შეასრულა. ნაკურთხი ვაშლი და სხვა ხილი ღვთისმოსავ მორწმუნეთ დაურიგდათ.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/90638/